

ტელეკომპანია პირველის თვითრეგულირების კომისიის კრების ოქმი N 6

ქ. თბილისი
26 ივნისი, 2020 წ.

ესწრებოდნენ:

ნინო ციციშვილი - „ტელეკომპანია პირველი“-ს იურისტი;
გიორგი დარჯანია - „ტელეკომპანია პირველი“-ს მულტიმედია არხების ხელმძღვანელი;
ლევან კირვალიძე - გადაცემა „რეაქციის“ პროდიუსერი.

დღის წესრიგი:

დეკანოზ ანდრია ჯაღმაიძის საჩივრის განხილვა.

მოისმინეს:

ნინო ციციშვილმა კომისიის წევრებს გააცნო საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლის, დეკანოზ ანდრია ჯაღმაიძის საჩივარი, რომელიც ეხებოდა 2020 წლის 13 ივნისს, ტელეკომპანია „პირველის“ ეთერში, ნოდარ მელაძის გადაცემაში გასულ სიუჟეტს.

საჩივარი გამოგზავნილია 2020 წლის 19 ივნისს ელექტრონულ ფოსტაზე: info@tvpirveli.ge

კომისიის წევრებმა ტელეკომპანიის არქივიდან გამოითხოვეს მასალები, დეტალურად განიხილეს საჩივარში მითითებული სიუჟეტი და შეაჯამეს ფაქტობრივი გარემოებები.

ურნალისტივის, კერძოდ კი საგამოძიებო ურნალისტივის უმთავრესი მიზანია იმ ინფორმაციის დეტალური გამოკვლევა, რაც საჯარო არ არის და ამასთან წარმოადგენს საზოგადოებრივი ინტერესის საგანს. საჩივრის ავტორი უთითებს საჯაროდ ხელმოსაწვდომ ინფორმაციაზე, რომელიც ზედაპირზეა და მარტივად მოსაპოვებელი, თუმცა საზოგადოებრივ ინტერესს წარმოადგენს სწორედ ის ინფორმაცია და ის გარემოებები, რომელიც კითხვის ნიშანს შეიძლება აჩენდეს, აქ კი უმნიშვნელოვანესია ტელევიზიის როლი მოსახლეობის პრობლემის წარმოჩენასა და დახმარებაში.

ურნალისტს გააჩნია წყარო, ჰყავს ინფორმაციის მოწოდებლები და მათგან მიღებულ ინფორმაციას ამოწმებს იმ გზით, რაზეც ხელი მიუწვდება. ურნალისტი ცდილობს გამოაჩინოს შესაძლო დანაშაულის კვალი, შესაძლებლობის ფარგლებში გამოიძიოს ნებისმიერი ფაქტი, რაც იწვევს ეჭვს. ურნალისტი არ ეკისრება წყაროს დასახელებისა და მითითების ვალდებულება. იგი ინფორმაციას მოიპოვებს არაერთი წყაროსგან და შესაძლებლობის ფარგლებში ინფორმაციის სარწმუნოობისა და სათანადო გადამოწმების შემდგომ ავრცელებს. ურნალისტის მიერ მხოლოდ იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით საუბარი, რომელიც საჯაროდ მოიპოვება ან/და მხოლოდ ოფიციალური დოკუმენტაციით დასტურდება, სცდება ურნალისტური გამოიძიების მიზანს და მეტიც, საერთოდ არასაჭიროს ხდის ურნალისტური გამოიძიების ჩატარებას.

ყოველივე ზემოგანხილულიდან გამომდინარე, თვითრეგულირების კომისია ადგენს, რომ არ დარღვეულა მაუწყებელთა შესახებ კანონის, მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მოთხოვნები და ურნალისტური ეთივის პრინციპები. ტელეკომპანია პირველს საჯაროდ აქვს გაცხადებული ადამიანის მირითადი უფლებების და თავისუფლებების განუხრელად დაცვა და პატივისცემა მის სარედაქციო პოლიტიკაში.

თვითონარეგულირების კომისია ასკვენის, რომ არ უნდა დაკმაყოფილდეს საჩივრი, ვინაიდან
დარღვევებს ადგილი არ ჰქონია და ჟურნალისტები მოქმედებდნენ კანონის ფარგლებში.

• ნინო ციციშვილი

ნ. ციციშვილი

გიორგი დარჯანია

გიორგი
დარჯანია

ლევან კირვალიძე

ლევან
კირვალიძე